

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №22

ქ. მარტვილი

22 ნოემბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, ზაზა რუხაია, მათა გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ვახტანგ კეკელია, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის რიგგარეშე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის განკარგულება №75 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.
/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ-ის ნუგზარ ცანავას მოხსენება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის

პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 990000 ლარი, დაახლოებით 116 პროექტის განსახორციელებლად, აქედან ასზე მეტი პროექტი უკვე განხორციელებულია, დარჩენილი პროექტების ნაწილში შესატანია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ: მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ აბედათში დაგეგმილი იყო სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა და აღნიშნა, რომ ამ კუთხით უკვე განხორციელდა გარკვეული სამუშაოები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წყლის დებეტი მიწის ქვემოთ 100 მეტრზე ქვემოთაა, ისიც შეეჭველი თუ იქნება ზუსტი დასკვნა არ არსებობს, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ პროექტზე დარჩენილი თანხა მიმართულ იქნას სოფლის გარე განათების უზრუნველსაყოფად, ასევე სოფელ ტალერში შიდა საავტომობილო გზის მოსაწყობად გათვალისწინებული იყო ცხაურის მოწყობა, აღმოჩნდა, რომ ცხაურზე უფრო ეფექტური იქნება გზის იმ მონაკვეთზე, ბოგირის მოწყობა, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ პროექტში ამ კუთხით ცვლილება განხორციელდეს, ასევე სოფელ კიწიაში გათვალისწინებული იყო საავტომობილო გზის საფარის გარკვეული მონაკვეთის რეაბილიტაცია, ვინაიდან დღეის მდგომარეობით დაგეგმილია აღნიშნული გზის მთლიანად მოწყობა აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული პროექტისთვის გათვალისწინებული თანხა მოხმარდეს იმავე სოფელს სხვა პროექტის განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმაჯამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ჯიქიამ დასვა კითხვა, რომ აღნიშნულ პროექტებში ცვლილება საჭიროებს თუ არა დამატებით თანხებს, რაზეც ნუგზარ ცანავამ უპასუხა, რომ ცვლილებები ხდება მხოლოდ მიზანშეწონილობის მიხედვით იმავე თანხების გათვალისწინებით რა თანხაც იყო გათვალისწინებული თავდაპირველ პროექტებში.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 28. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ნოემბრის განკარგულება №76 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

ამის შემდეგ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით სიტყვით გამოვიდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს დიდი ჭყონის პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ილია კვესელავას წერილი, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაალ გოროზიას მიმართ აღძვევით

ღონისძიების სახით 2 თვიან პატიმრობის შეფარდებას, რომლის საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ზაალ გოროზიას დროებით უნდა შეუჩერდეს უფლებამოსილება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №5 დადგენილების მე-16 მუხლის, მე-7 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს წევრს ზაალ გოროზიას მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უჩერდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

აღნიშნული საკითხი მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ცნობად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან სურმავა